



ELON MUSK

ილონ მასკის გზა სამხრეთ აფრიკიდან წითელ პლანეტამდე

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ილონ მასკის – სამხრეთაფრიკული წარმოშობის წარმატებული ამერიკელი მენარმისა და უმდიდრესი ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა თითქოს ფანტასტიკის ჟანრის იმ წიგნების სიუჟეტს წააგავს, რომელთა კითხვაც ილონს თურმე ბავშვობიდან იტაცებდა. ილონ მასკი – PayPal-ისა (ელექტრონული გადახდის ამერიკული კომპანიის) და SpaceX-ის (უახლესი კოსმოსური რაკეტებისა და კოსმოსური მოწყობილობების მწარმოებელი ამერიკული კომპანია) დამფუძნებელი, ელექტრომანქანების მწარმოებელი კომპანია Tesla-ს ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი და ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, ტექნოლოგიური კომპანიების OpenAI-ისა და Neuralink-ის თანადამფუძნებელი – იგი ერთდროულად ბევრ სფეროში საქმიანობს, ბევრი მიმართულებით უცდია ბედი, თუმცა ამბობს, რომ მანამ არ იქნება ბედნიერი, სანამ მარსის კოლონიზაციას არ მოახდენს.

ილონ მასკი დაიბადა სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ პრეტორიაში, 1971 წლის 28 ივნისს, სამხრეთამერიკელი ინჟინერი მამისა და კანადელი მოდელი და დიეტოლოგი დედის ოჯახში. მას ჰყავს თავისზე უმცროსი და-ძმა – კიმბალი და ტოსკა. ილონი 10 წლის იყო, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ილონმა მამასთან ცხოვრება აირჩია. მას ბავშვობაში ბევრი სირთულე ჰქონდა – ტანმორჩილ, გულჩათხრობილ, წიგნებში ჩაფლულ ბიჭს სკოლაში ჩაგრავდნენ, სცემდნენ და დასცინოდნენ. თავი რომ დაეცვა, კარგად ისწავლა კარატე და ჭიდაობის ილეთები.

ილონ მასკის მშობლები



და-ქმანთან ერთად

კომპიუტერების მიმართ ინტერესი და კომერციული ნიჭი ილონ მასკმა ადრეულ ასაკში გამოავლინა – 1983 წელს 12 წლისამ დაწერა კოდი საკუთარი კომპიუტერული თამაშისათვის, რომელსაც Blastar-ი უწოდა და კომპიუტერულ ჟურნალს 500 დოლარად მიჰყიდა.

1989 წელს 17 წლის ილონი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან კანადაში გადასახლდა და ონტარიოს პროვინციაში, კინგსტონში, კუინსის უნივერსიტეტში ჩააბარა – ამგვარად თავი აარიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს სამხრეთ აფრიკაში, რაც აპარტიდის მხარდაჭერას გულისხმობდა. კანადის მოქალაქეობა იმავე წელს მიიღო – ამით გზა გაეხსნა აშშ-ის მოქალაქეობის მისაღებად – ილონი ესწრაფოდა გადასულიყო აშშ-ში, რათა იქ არსებული ფართო ეკონომიკური შესაძლებლობები გამოეყენებინა.

1992 წელს მასკმა აშშ-ში, პენსილვანიის უნივერსიტეტში, ჩააბარა და ბიზნესისა და ფიზიკის სწავლა დაიწყო. მან ჯერ ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო, ერთი წლის შემდეგ კი – ფიზიკის.

პენსილვანიის შემდეგ ილონი კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში შევიდა ფიზიკის სადოქტორო პროგრამაზე, თუმცა ორ დღეში აზრი შეიცვალა და სწავლას თავი დაანება – გული უგრძობდა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ინტერნეტი უფრო ბევრ რამეს შეცვლიდა, ვიდრე ფიზიკა. 1995 წელს მასკმა საკუთარი კომპანია Zip2 Corporation-ი დააფუძნა, 2002 წელს კი აშშ-ის მოქალაქეც გახდა.

ძმა კიმბალთან ერთად 1995 წელს შექმნილი კომპანია Zip2 Corporation-ი იყო ქალაქის გამკვეთი ონლაინპლატფორმა, რომელმაც სულ მალე The New York Times-ისა და Chicago Tribune-ის ვებსაიტებისთვის დაიწყო კონტენტის შექმნა. 1999 წელს Zip2 Corporation-ი Compaq Computer Corporation-მა 307 მილიონ დოლარად შეიძინა – ეს იყო ინტერნეტბიზნესში იმ დროისათვის ერთ-ერთი უმსხვილესი გარიგება. მასკმა ამ თანხასთან ერთად 22 მლნ დოლარიც მიიღო – 7-პროცენტიანი წილისთვის და ამგვარად, 28 წლის ასაკში იგი უკვე მილიონერად იქცა.





1999 წელს Zip2-ის გაყიდვიდან მიღებული ფულის ნაწილით ილონმა და კიმალმა დააფუძნეს X.com-ი – ონლაინ საფინანსო/გადახდების კომპანია. 2000 წელს X.com-მა კომპანია Confinity იყიდა და შექმნა ინტერნეტით ფულის გადარიცხვის სერვისი PayPal-ი, რომელიც ძალიან წარმატებული და პოპულარული გამოდგა.

2002 წლის ოქტომბერში PayPal-ი 1,5 მილიარდ დოლარად შეიძინა კომპანია eBay-მ. იმ დროისათვის ილონ მასკი PayPal-ის უმსხვილესი აქციონერი იყო და მის 11-პროცენტთან წილს ფლობდა.

ილონ მასკი დიდი ხნის შეპყრობილი იყო იდეით, რომ კაცობრიობას სხვა პლანეტებზე დასახლება გადაარჩენდა და ამით შთაგონებულმა, eBay-ისგან მიღებული ფულის ნაწილით (100 მილიონი დოლარი) 2002 წელს დააფუძნა მესამე კომპანია Space Exploration Technologies Corporation, იგივე SpaceX-ი. მისი მიზანი იყო შეექმნა შედარებით ხელმისაწვდომი კოსმოსური რაკეტები, რაც კოსმოსში მოგზაურობას გააადვილებდა. პირველი რაკეტა – Falcon 1 2006 წელს გაუშვეს. 2008 წელს SpaceX-ს უკვე NASA-მ გაუფორმა კონტრაქტი – უნდა შექმნილიყო საერთაშორისო კოსმოსურ სადგურამდე ტვირთების ასატანი, მომავალში კი იქ ასტრონავტთა ასაყვანი ტრანსპორტი. ამით NASA კოსმოსური შატლების ჩანაცვლებას გეგმავდა.

2012 წლის 22 მაისს მასკმა და SpaceX-მა ისტორიული ნაბიჯი გადადგეს – კომპანიამ საკუთარი რაკეტა Falcon 9 კოსმოსში უპილოტო კაფსულასთან ერთად გაუშვა. ხომალდს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მყოფი ასტრონავტებისთვის განკუთვნილი 450 კგ ტვირთი მიჰქონდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურთან ხომალდი კერძო კომპანიამ გაგზავნა. გაშვების შემდეგ მასკმა თქვა: „ძალიან იღბლიანი ვარ, ჩვენთვის ის სუპერთასის მოგების ტოლფასია“.

2013 წლის დეკემბერში Falcon 9-მ ხელოვნური თანამგზავრი გეოსინქრონულ ორბიტაზე გაიტანა, ისეთ მანძილზე, სადაც ის ერთ ადგილას ჩაიჭედებოდა, ისეთ ორბიტულ მოძრაობაზე, რომელიც დედამიწის ბრუნვას ემთხვევა და პლანეტასთან მიმართებით მუდამ ერთ ადგილასაა. 2015 წელს SpaceX-მა კიდევ ერთი Falcon 9 გაუშვა, რომელმაც ორბიტაზე თანამგზავრი DSCOVR-ი გაიტანა; მისი მიზანი იყო მზის გამოსხივებაზე დაკვირვება, რაც გავლენას ახდენს დედამიწაზე ელექტროსისტემებისა და კომუნიკაციების მუშაობაზე.

2017 წლის მარტში SpaceX-მა წარმატებით ჩაატარა Falcon 9-ის საცდელი ფრენა – რაკეტა გაშვების შემდეგ კვლავ დედამიწაზე დაბრუნდა და დაჯდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი გამოყენება არაერთგზის შეიძლებოდა – კოსმოსურ ფრენებში სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო.

2018 წლის თებერვალში კომპანიამ კიდევ ერთი დიდი წარმატება აღნიშნა – გამოსცადა უმძლავრესი რაკეტა Falcon Heavy, რომლის მიზანი იყო ორბიტაზე ძალიან მძიმე ტვირთის გატანა და შორეულ კოსმოსურ მისიებში მონაწილეობა. საცდელი გაშვებისას რაკეტამ კოსმოსში წაიღო მასკის კუთვნილი პირადი ავტომობილი – ნითელი Tesla Roadster-ი, მზის გარშემო ორბიტაზე გაიტანა, სადაც დაუსრულებლად იფრენს მის გარშემო. კამერებმა, რომლებითაც აღჭურვილი იყო მანქანა, დედამიწის გასაოცარი ხედები გადაიღო და დედამიწაზეც „გამოგვიგზავნა“.

SPACEX



Falcon 1

2018 წლის ივლისში, Space X-მა გაშვებიდან 9 წუთში, სპეციალურ გემ-პლატფორმაზე დასვა ახალი რაკეტა Block 5 Falcon-ი.

2020 წლის მაისში Space X-მა რაკეტა Falcon 9-ზე მიმაგრებული კაფსულა Crew Dragon-ით საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე NASA-ს ორი ასტრონავტი აიყვანა. ეს იყო პირველი შემთხვევა კოსმოსური შატლის პროგრამის დახურვის შემდეგ (2011 წლის ივლისი), როდესაც NASA-ს ასტრონავტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ამერიკის მიწიდან ამერიკული რაკეტით გაემგზავრნენ. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო ბოლო წლებში ამისათვის რუსეთის რაკეტა „სოიუზს“ იყენებდა, რომლითაც ასტრონავტები სადგურზე ყაზახეთიდან, ბაიკონურის კოსმოდრომიდან, მიემგზავრებოდნენ. აგვისტოში კაფსულამ ასტრონავტები უკან, დედამიწაზე, ჩამოიყვანა. ამავე წლის ნოემბერში, მისია Demo-2-ის ფარგლებში, კომპანიამ ოთხი ასტრონავტი აიყვანა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, ექვსთვიანი მისიით.

მასკი ფიქრობს, რომ მოვა დრო და დედამიწაზე კაცობრიობის გადარჩენის საკითხი დადგება – რომელიცაა საფრთხე, იქნება ეს ასტროიდი, დიდი ვულკანი თუ ბირთვული ომი, ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის არსებობას დაემუქრება და სწორედ ამ დროის იმედი იქნება ნითელი პლანეტა და კომპანია SpaceX-ი.

2017 წლის სექტემბერში მასკმა წარმოადგინა გეგმა – BFR-ის (Big Falcon Rocket) განახლებული მონახაზი – 31-ძრავიანი რაკეტა, რომლის თავზე მოთავსებულმა კოსმოსურმა ხომალდმა მარსზე 100 კაცი უნდა წაიყვანოს. მაშინ ილონმა თქვა, რომ 2022 წლისთვის SpaceX-ს მარსზე პირველი სატვირთო მისიის გაგზავნა უნდა, საბოლოო მიზანი კი ნითელი პლანეტის კოლონიზაციაა. 2018 წლის ნოემბერში კომპანიამ ხომალდს Starship-ი უწოდა, პირველი ეტაპის გამწვრავ რაკეტას კი – Super Heavy.



Falcon Heavy

რაკეტაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. ჩატარდა ათი სატესტო ფრენა, რომელთაგან ცხრა ან აფრენისას, ან დაფრენისას წარუმატებელი იყო. 2021 წლის 3 მარტს Starship-ის პროტოტიპი SN10 დედამიწიდან 11 კმ სიმაღლეზე ავიდა, შემდეგ უკან დაეშვა და ხმელეთზეც წარმატებით დაჯდა. დაჯდომიდან დაახლოებით რვა წუთში ავარიულად გასკდა რაკეტის თხევადი ჟანგბადისა და მეთანის ავზები, რამაც SN10-ის მთლიანად აფეთქება გამოიწვია. მიუხედავად აფეთქებისა, მასკი ამ ცდას მაინც წარმატებულად აფასებს, რადგან რაკეტა პირველად დაჯდა წარმატებით, ფრენის პროცესში აფეთქების გარეშე.

საგულისხმოა, რომ როცა ილონ მასკს ეკითხებიან, როგორ ისწავლა რაკეტების აგება, პასუხობს, რომ კითხულობს წიგნებს.

2018 წლის მარტში SpaceX-მა აშშ-ის მთავრობისგან დედამიწის ქვედა ორბიტაზე ინტერნეტსერვისის თანამგზავრთა ფლოტის გაშვების ნებართვა მიიღო. თანამგზავრთა ქსელი, სახელად Starlink-ი, იდეალური იქნება მიუდგომელ ადგილებში ფართოზოლოვანი ინტერნეტის მისაწოდებლად და თან გაზრდის კონკურენციას ბაზრებზე, სადაც, ძირითადად, ერთი ან ორი პროვაიდერი ბატონობს.



DISCOVER



Falcon 9-ის უპილოტო კაფსულა



Falcon 9



Crew Dragon



სომალდი Starship რაკეტიმ Super Heavy

2019 წლის მაისში SpaceX-მა თანამგზავრების პირველი პარტია გაუშვა. 2021 წლის იანვრის მონაცემებით, კომპანიას ორბიტაზე 1035 თანამგზავრი ჰყავს გაყვანილი, ჯამში კი, 42 000 თანამგზავრის გაშვებას გეგმავს. პროექტის ღირებულება 10 მილიარდ დოლარამდეა. მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში უკვე მისი ინტერნეტის ტესტირებაც დაიწყო. მიუხედავად ასეთი დიდი სიკეთისა, თანამგზავრები ცაში კაშკაშა წერტილებად მოჩანს, რაც ასტრონომების შემოფოთებას იწვევს, რადგან ასეთი ობიექტები ძალიან შეუშლით ხელს კოსმოსის კვლევაში.

როგორც ვიცით, ილონ მასკი ასევე არის კომპანია Tesla Motors-ის თანადამფუძნებელი, იყო მისი აღმასრულებელი დირექტორი და ნაწარმის დიზაინერიც კი. 2003 წელს დაარსებული კომპანია აწარმოებს ხელმისაწვდომ, მასობრივი ბაზრებისთვის განკუთვნილ ელექტრომობილებს, ბატარეებს და მზის სახურავებს. კომპანიის ყველა ნაწარმის შექმნას, ინჟინერიას და დიზაინს ზედამხედველობას თავად მასკი უწევს.

2008 წელს, დაარსებიდან ხუთი წლის შემდეგ, Tesla-მ წარმოადგინა Roadster-ი – სპორტული მანქანა, რომელიც დაქოქვიდან 3,7 წამში 96 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, მუშაობდა ლითიუმ-იონურ ბატარეებზე და ერთი დამუხტვით 400 კილომეტრამდე მანძილს გადიოდა.

2010 წლისთვის კომპანიის წილი შეიძინა Daimler-მა, სტრატეგიული პარტნიორობა გა-


ფორმდა Toyota-სთან და ყოველივე ამის შედეგად, Tesla Motors-ის ღირებულება 226 მილიონამდე გაიზარდა.

2008 წლის აგვისტოში Tesla-მ საზოგადოებას ამცნო Model S-ის – კომპანიის პირველი ელექტროსედანის შესახებ, რომელსაც კონკურენცია უნდა გაენია BMW 5 series-თვის. 2012 წელს დაიწყო Model S-ის წარმოება. ბაზარზე მისი ფასი 58 570 დოლარიდან იწყებოდა. ერთი დატენვით მანქანა 426 კმ-ს გადიოდა. 2013 წელს ჟურნალმა Motor Trend-მა Model S-ი წლის ავტომობილად აღიარა.

2017 წლის აპრილში Tesla-მ განაცხადა, რომ გადაუსწრო General Motors-ს და აშშ-ის ბაზარზე ყველაზე ძვირადღირებული ავტომწარმოებელი გახდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა კომპანიის წარმატება: 2019 წელს კომპანიამ ოფიციალურად გაუშვა Model 3; მისი ფასი 35 000 დოლარი იყო და გაცილებით ხელმისაწვდომი, ვიდრე უფრო ძვირადღირებული Model S და X ელექტროსედანები, რომელთა ფასიც 69 500 დოლარს აღწევდა.

2019 წლის მარტში მასკმა წარმოადგინა მოდელი, რომელსაც საზოგადოება დიდხანს ელოდა – Model Y, კომპაქტური კროსოვერი, რომელიც ერთი დამუხტვით 483 კმ-ს გადის და დაქოქვიდან 3,5 წამში 96 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.





Starlink

მასკის გამუდმებულმა სურვილმა და ძალის-ხმევამ განახლებადი ენერჯისა და ახალი პროდუქტების ხელშეწყობა-განვითარების 2016 წლის აგვისტოში ახალი მიმართულება მიიღო – Tesla Motors Inc-მა შეიძინა ენერჯოკომპანია SolarCity Corp-ი, რომელიც 2006 წელს მასკის ბიძაშვილებმა ილონისვე ხელშეწყობით დააფუძნეს.

„როცა მზის ენერჯია და ენერჯის შენახვა გაერთიანებულია ერთ კომპანიაში, საუკეთესო შესაძლებლობაა – Tesla (შენახვა) და SolarCity (მზის ენერჯია) შექმნენ შექმნან სრულიად ინტეგრირებული საცხოვრებელი, კომერციული

და ფართომასშტაბიანი პროდუქტები, რითაც გაუმჯობესდება ენერჯის წარმოების, შენახვისა და მოხმარების გზები“, – აღნიშნული იყო Tesla-ს განცხადებაში.

2017 წლის იანვარში მასკმა დააარსა კომპანია The Boring Company, რომლის მიზანია გვირაბების გაყვანა-მშენებლობა, ქუჩაში მანქანების რაოდენობის შესამცირებლად. საცდელი სამუშაოები ჩატარდა ლოს-ანჯელესში, SpaceX-ის კუთვნილ ტერტორიაზე. იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს მასკმა Instagram-ზე კომპანიის საქმიანობის ამსახველი პირველი ფოტო გამოაქვეყნა. 2019 წელს კი კომპანიამ 48,7-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა ლას-ვეგასის ხელმძღვანელობასთან, ქალაქში მიწისქვეშა მოძრაობის სისტემის ასაშენებლად. სამშენებლო ნებართვას ელოდება პროექტი, რომლითაც გვირაბში მოძრავი სატრანსპორტო საშუალება Hyperloop-ი ვაშინგტონს ბალტიმორთან დააკავშირებს.



2013 წლის აგვისტოში მასკმა წარმოადგინა ახალი სატრანსპორტო საშუალების – Hyperloop-ის კონცეფცია. ამ გამოგონების მიზანია ხელი შეუწყოს დიდ ქალაქებს შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, რაც თან მნიშვნელოვნად შეამცირებს მგზავრობის დროსაც. Hyperloop-ზე არ მოქმედებს ამინდი და მუშაობს განახლებად ენერჯიაზე; კონტეინერები, რომლებშიც მგზავრები ჩასხდებიან, დაბალი წნევის მილების ქსელში 1126 კმ/სთ სიჩქარით იმოძრავენ. მასკის განცხადებით, Hyperloop-ის აშენებასა და ექსპლუატაციაში შესვლას 10 წელი დასჭირდება.

Tesla Roadster




Tesla model S



Tesla model 3




Tesla model Y



ტექნოლოგიები

მასკი აცხადებს, რომ Hyperloop-ი თვითმფრინავსა და მატარებელზე უსაფრთხო იქნება და 6 მილიარდი დოლარი დაჯდება, რაც კალიფორნიის შტატში დაგეგმილი სარკინიგზო სისტემის მშენებლობის ღირებულების დაახლოებით ერთი მეათედია. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონცეფციამ დიდი სექპტიციზმი გამოიწვია, ილონ მასკი ამ იდეაზე ხელს არ იღებს და ჯიუტად განაგრძობს მუშაობას.

Hyperloop-ის კონტინერის პროტოტიპის დიზაინზე გამოცხადდა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც პირველი შეჯიბრი 2017 წელს გაიმართა SpaceX-ის ბაზაზე. 2018 წელს, მესამე შეჯიბრში, სიჩქარის რეკორდი გერმანელ სტუდენტთა ჯგუფმა დააფიქსირა, 457 კმ/სთ; მომდევნო წელს ამავე ჯგუფმა საკუთარი რეკორდი 462 კმ/სთ-მდე გაზარდა.




მასკის განსაკუთრებული ინტერესის საგანია აგრეთვე ხელოვნური ინტელექტი. 2015 წელს მან შექმნა კვლევითი კომპანია OpenAI-ი, რომელიც მუშაობს ციფრული ინტელექტის განვითარებასა და ამ მიმართულებით კაცობრიობისთვის სარგებლის მოტანაზე.

2017 წელს მასკმა კიდევ ერთი დაუჯერებლად თამამი ნაბიჯი გადადგა და დააარსა კომპანია Neuralink-ი, რომლის მიზანიც არის ისეთი მოწყობილობების შექმნა, რომლებიც ადამიანის თავის ტვინში გადაინერგება და პროგრამულ უზრუნველყოფასთან შერწყმაში დაგვეხმარება. კომპანიას საკმაოდ დიდი პროგრესი აქვს; 2019 წელს ცნობილი გახდა, რომ მისი მოწყობილობები წარმოადგენს მიკროსკოპულ ჩიპს, რომელიც ბლუთუსით უკავშირდება სმარტფონს.

Neuralink-მა საკუთარ ლაბორატორიაში მსოფლიოს წამყვან ნეირომეცნიერებს მოუყარა თავი. მასკის განცხადებით, სისტემა პატარა ჩიპში იქნება, რომელიც ტვინში გადაინერგება და ადამიანებს ხელოვნურ ინტელექტთან სიმბიოზის საშუალებას მისცემს.

2021 წლის თებერვალში მასკმა „ტვიტერზე“ დაწერა, რომ Neuralink-ის ადამიანისა და კომპიუტერის დამაკავშირებელი ტექნოლოგიები ვითარდება და ამის დასტურად მოიყვანა მაიმუნი, რომელსაც თავის ქალაში ჩაყენებული აქვს უსადენო იმპლანტი, რის შედეგადაც, მაიმუნი ვიდეოთამაშებს საკუთარი გონებით თამაშობს. ეს ტექნოლოგია წარმატებით გაიტესტა ლორებზეც.

მასკის განმარტებით, ტვინთან დამაკავშირებელი ტექნოლოგიების მიზანი ტვინისა და ხერხემლის დაზიანებისას გაჩენილი პრობლემების აღმოფხვრაა; მისივე თქმით, ამ პრობლემების გამო შეზღუდული



შესაძლებლობების მქონე ადამიანები ჩიპის იმპლანტის საშუალებით დაიბრუნებენ დაკარგულ უნარებს.

ამავე დროს, მასკი ხშირად გამოხატავს შეშფოთებას ხელოვნური ინტელექტის განვითარების გამო და მიაჩნია, რომ სათანადო რეგულაციების გარეშე ეს ტექნოლოგია შეიძლება თანდათან უკონტროლო გახდეს და კაცობრიობას სიკეთის ნაცვლად ზიანი მოუტანოს.

კოსმოსის კვლევის უსაზღვრო პოტენციალი და ადამიანთა მოდგმის მომავლის საკითხები მასკის ინტერესთა ქვაკუთხედია, რისთვისაც მან ორგანიზაცია Musk Foundation-ი დააარსა. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია კოსმოსის კვლევა და განახლებადი და სუფთა ენერჯის წყაროების აღმოჩენა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მასკმა მილიონი დოლარი შესწირა კამპანიას TeamTrees, რომელიც მთელ პლანეტაზე რგავს ხეებს.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ მასკი ნამდვილად არ არის სრულყოფილი, უცდომელი გმირი. მართალია, ის სრულიად არაორდინალური ხედვებისა და შესაძლებლობების ბრწყინვალე შემოქმედია, მაგრამ, როგორც ზოგიერთი მისი ყოფილი თანამშრომელი აღნიშნავს, მასთან მუშაობა ძალიან რთულია. მუშაობს კვირაში 80 საათს და ასეთ ნარმოუდგენელ რეჟიმში მუშაობას ითხოვს თავისი ინჟინრებისგანაც. ხშირად მოუთმენელია თანამშრომლების მიმართ, სტრესულ

ვითარებაში ზოგჯერ მათ არაკომპეტენტურობის საბაბით სამსახურიდანაც ათავისუფლებს, თუმცა, ზოგადად, ადამიანები მას დადებითად ახასიათებენ და ძალიან ცოტა შეცდომას მიაწერენ.

ილონ მასკის ცხოვრებიდან ნამდვილად ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი, თუნდაც მისი ხასიათიდან და მუშაობის სტილიდან, რომ ალარაფერი ვთქვათ თავდადებაზე, შეუპოვრობასა და ლიდერობის უნარებზე. როდესაც დიდი მიზნებისთვის იღნვი, გარდაუვლად დგება მომენტი, როდესაც თითქოს ყველაფერი შენ წინააღმდეგაა – ასე იყო მასკის ცხოვრებაშიც, ბევრი დაცინოდა, უბრალოდ ოცნებად და ფანტასტიკის სფეროდ მიაჩნდათ მიზნები, რომლებიც ახალგაზრდა კაცს სულ უფრო დაჟინებით უფორიანქებდა სულსა და გონებას. მაგრამ სწორი ხედვით, ტიტანური შრომით, მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით მასკი თვეში რამდენჯერმე შეგვახსენებს თავს ახალ-ახალი წარმატებითა და გამოგონებით და ყველას აჩვენებს, რომ შეუძლებელი არაფერია, როცა გაქვს მიზანი. მისი მიზნები კი ფრიად მასშტაბურია და ძალზე გამოირჩევა „კლასიკურ“ მილიარდერთა სურვილებისგან – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი ცხოვრების მთავარი საზრუნავი ხომ ადამიანის მულტიპლანეტურ არსებად გადაქცევაა, იმ დღის გათენება, როდესაც დედამიწასთან ერთად ჩვენი სახლი მარსიც იქნება. ნუთუ, მართლაც მივა მისი გზა სამხრეთ აფრიკიდან წითელ პლანეტამდე? თუ სტატია დაკვირვებით ნაიკითხეთ, სხვა გზას უბრალოდ ვერ დაინახავთ.

